მანანა დარჩაშვილი *

გარემოს დაცვის საკითხები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში
(2020 წლის წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტების მიხედვით)

აბსტრაქტი

თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის დღის წესრიგი, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ (სხვადასხვა მიმართულებით) დონეზე, ღონისძიებათა მთელ რიგ სისტემას მოიცავს, რომელიც მიმართულია ბუნებასთან ჰარმონიზაციაზე, ეკოლოგიის, ბუნებრიბივი რესურსების დაცვა-აღდგენის ზრუნვაზე. ბუნებრივია ქართული სინამდვილეც, პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, თავის საპროგრამო დოკუმენტებში გარკვეულ ადგილს უთმობენ ბუნებრივ გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულების საკითხს, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება. შესაბამისად, შესასწავლი საკითხის მიზანი თავისთავად აქტუალური და საინტერესოცაა.

ემპირიული მასალის, სხვადასხვა მოძიებული-შესწავლილი დოკუმენტების, ოფიციალური ვებ-გვერდების მასალების, შესაბამისი საერთაშორსო ორგანიზაციებიბი კომუნიკეების, სამთავრობო დოკუმენტების, პარტიების წინასაარჩევნო დოკუმენტების ანალიზის, საფუძველზეა წარმოდგენილია ნაშრომში.

ნაშრომში საქართველოში არსებული რეალობაა ასახული, სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები საკითხის სათანადო მოგვარებისათვის, ასევე პარტიების დამოკიდებულება გარემოს დაცვის საკითხების მიმართ.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

მთელი რიგი მონაცემებით დასტურდება, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკა მოტივირებულია, რათა გლობალურ და რეგიონულ დონეზე სათანადოდ შესრულდეს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გარემოსდაცვითი ეროვნული პოლიტიკის ფორმულირების პროცესში და რომელთა ერთ-ერთი მხარეც საქართველოც არის,

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გარემოს დაცვა, პარტია, დეკლარაცია.

შესავალი

თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის საკითხების მოგვარებაში უდიდესი როლი აქვს საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს, სწორედ მათი მეშვეობით ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ყურადღება ექცევა მთელ რიგ არსებულ გამოწვევებს, რათა ერთობლივი ძალისხმევით, მიღებული გადაწყვეტილებებით და თანამშრომლობით დაძლეული იყოს ესა თუ ის გარემოსდაცვასთან დაკავშირებული პრობლემა.

მსოფლიოში თანამედროვე პერიოდში დღის წესრიიგში დგას და აქტიურად განიხილება კლიმატის ცვლილების საკითხი, რომელსაც გაეროს ჩარჩო კონვენცია გარკვეულწილად ადამიანის საქმიანობასაც უკავშირებს და გულისხმობს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა: ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარება, მიწათმოქმედების სახეების ცვლილება და სხვა. კლიმატის ცვლილების მიხედვით საქართველოში სამი ადგილია გამოყოფილი, - შავი ზღვის სანაპირო, ქვემო სვანეთი და დედოფლისწყარო. სადაც სპეციალისტების მონაცემებებით ტემპერატურის მატებამ საუკუნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში 0.7 გრადუსს აღმოსავლეთ საქართველოში (ზოგან) 0.6 გრადუსს მიაღწია. კლიმატის ცვლილებები აშკარაა მიწისა და წყლის რესურსების, ბუ-

ნებრივი კატასტროფების, სოფლის მეურნეობის, ბიომრავალფეროვნების მიმართულებით.

საკითხს მეტ აქტუალობას მატებს ის ფაქტიც, რომ კავკასია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბიოლოგიური მრავალფეროვნებით ერთ-ერთ საინტერესო, გამორჩეულ რეგიონადაა მიჩნეული და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილიდან „შავი ზღვის დიდი აუზი“ მოიცავს კავკასიის რეგიონს. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველო ორი „ცხელი წერტილის“ (ტერიტორიები, რომლებიც გამოირჩევიან უმდიდრესი, მაგრამ სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნებით) - კავკასიისა და ირან-ანატოლიის შემადგენლობაში შედის (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2015).

ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი ნამდვილად გააქტიურებულია, შესაბამისად, საინტერესოა პოლიტიკური პარტიები, თანამედროვე პოლიტიკის მთავარი ღერძი და დემოკრატიის დამკვიდრების მნიშვნელოვანი იარაღი, რომელიც აუცილებელი რგოლია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, როგორ განსაზღვრავენ გარემოსდაცვითი საკითხების დღისწესრიგს.

აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომა - საერთაშორისო კონტექსტი

საკითხის მნიშვნელობაზე მსჯელობა გაეროს - სტოკჰოლმის კონფერენციიდან (1972 წ.) გააქტიურდა, როდესაც პირველი მსოფლიო კონფერენცია ჩატარდა გარემოს დაცვის შესახებ. ღონისძიების მონაწილეებმა მიიღეს სტოკჰოლმის დეკლარაცია, სტოკჰოლმის კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის შექმნა იყო (United Nations Conference on the Environment, 1972), რომელმაც მთელი რიგი პრინციპებით (26 პრინციპს შეი-

ცავდა) საერთაშორისო პრობლემების სათავეში დააყენა გარემოს-დაცვითი საკითხები და დაიწყო ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის დიალოგი ეკონომიკური ზრდის, ჰაერის, წყლისა და ოკეანეების დაბინძურებისაგან თავის შეკავების შესახებ, მთელს მსოფლიოში ადამიანის კეთილდღეობის ინტერესიდან გამომდინარე. თავისი შინაარსის მიხედვით სამოქმედო გეგმა შეიცავდა შემდეგ ძირითად კატეგორიებს: გლობალური გარემოსდაცვითი შეფასების პროგრამას, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის საქმიანობას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შეფასებისა და მენეჯმენტის მხარდაჭერის საერთაშორისო ღონისძიებებს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა 109 რეკომენდაციას.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ 20 წლის შემდეგ საერთაშორისო მნიშვნელობის მეორე დოკუმენტი შიქმნა ე. წ. RIO დეკლარაცია (რიო დე ჟანეირო, 1992 წლის 3-14 ივნისი) გარემოსა და განვითარების შესახებ. 27 პუნქტიანი დოკუმენტის მოტივაცია ადამიანის, როგორც მდგრადი განვითარების ზრუნვის ცენტრალურ ობიექტზეა, რომ ყველას აქვს ბუნებთან ჰარმონიაში ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება გამოიყენონ საკუთარი რესურსები საკუთარი გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, და ამასთან უნდა უზრუნველყონ რომ ზიანი არ მიაყენონ სხვა სახელმწიფოების გარემოს და რომ მდგრადი განვითარების მისაღწევად, გარემოს დაცვა წარმოადგენს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება ჩაითვალოს მისგან დამოუკიდებლად (Rio Declaration on Environment and Development).

ეს ორივე დოკუმენტი - სტოკჰოლმისა და რიოს დეკლარაციები წარმოადგენს პირველი და მეორე გლობალური გარემოსდაცვითი კონფერენციების შედეგებს და ერთმანეთან კავშირშია როგორც კონცეპტუალური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამასთან,

ეს დეკლარაციები, ახალი და სამართლიანი გლობალური პარტნიორობის დამყარების მიზნით, თანამშრომლობის ახალი დონის შექმნით სახელმწიფოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველას ინტერესების გათვალისწინებით იცავს გლობალური გარემოსდაცვითი და განვითარების სისტემის მთლიანობას (Handl, 2012).

აღსანიშნავია, რომ 1987 წელს, გარემოსდაცვითი პრობლემატიკისა და უსაფრთხოების კავშირი პირველად გამოიკვეთა გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის ანგარიშში, კაცობრიობის საფრთხეების მიმართ ნათქვამია, რომ ეს არის „ატომური იარაღის გამოყენება - იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ეს პერსპექტივა აღარ იარსებებს და მსოფლიოს გარემოს დეგრადაცია და ეს არ არის მომავლის პერსპექტივა, ეს ფაქტია დღეს“ (Resolutions adopted by the General Assembly at its 42nd session, 1987)

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მომზადებიდან მოყოლებული წლების განმავლობაში მრავალი შეთანხმება გაფორმდა გარემოს დაცვის შესახებ, რომლებიც მთელ რიგ ფუნდამენტურ პრინციპებს ემყარება. ეს გულისხმობს პრევენციული ზომების, როგორც ბუნებრივი რესურსების მართვის საფუძვლის განსაზღვრას. რაც ავალდებულებს სახელმწიფოებს რათა „მათი იურისდიქციის ან კონტროლის საზღვრებში განხორციელებულმა საქმიანობამ ზარალი არ მიაყენოს სხვა სახელმწიფოებს“. ასევე, რომ განვითარებამ, რომელიც დღევანდელი თაობების საჭიროებებს აკმაყოფილებს „მომავალი თაობების საჭიროებებისთვის ზარალის მიუყენებლად“ უნდა იმუშავოს (სენარკლენი, არიფენი, 2014).

საერთაშორსო პროგრესულმა საზოგადოებამ გააცნობიერა ადამიანის საქამიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საფრთხეები, რაც გარემოს დეგრადაციას იწვევს და შესაბამისად, საჭირო ღონისძიებებით, საერთო, საყოვეთაო პასუხისმგებლობის დანერგვის საშუალებით, რომელსაც სხვადასხვა ღონისძიებებით ახორციელებს, ცდილობს იზრუნოს უსაფრთხო გარემოსთვის.

გარემოსდამცველთა საქმიანობის აქტუალობაზე მიუთითებს თანამედროვე მსოფლიოს მიერ მიმდინარე წელს დედამიწის დღის 50 წლის იუბილის აღნიშვნა[1], „მოდით 2020 წელი ენერგიულად, ენთუზიაზმით და ერთგულებით ვაქციოთ ჩვენი პლანეტის ახალი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად. დედამიწის დღე 2020 შეიძლება იყოს კატალიზატორი, რომელიც შეუდარებელ გლობალურ თანამშრომლობას ხელს შეუწყობს“ - ნათვამია ორგანიზაციის მიმართვაში (OUR VISION FOR CHAHGE). არსებული ვითარებიდან (COVID-19-ის გამო) გამომდინარე საიუბილეო თარიღი ელექტრონულად აღინიშნა.

გარემოსდაცვითი მიდგომა საქართველოში

ბუნებრივი გარემოს დაცვა ყველა პროგრესული ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა. ეს გარკვეულწილად მათი მაღალგანვითარების მაჩვენებელიცაა, ამის მაგალითად 1969 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, გარემოსდაცვის საკითხე ერთ-ერთი პირველი კანონის, ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის აქტიც (NEPA) კმარა, სადაც გარემოს დაცვის ფართო ეროვნული ჩარჩო პირველად არის გადმოცემული (Summary of the National Environmental Policy Act, 1969).

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გარემოსდაცვითი სისტემის დანერგვის მცდელობა იწყება. გააზრებული იყო გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური ხასიათი - ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობის საკითხებთან კავშირი. 1991 წლიდან მრავალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული რომლითაც გარემოს

[1] 1970 წლის 22 აპრილს, პლანეტისათვის მნიშვნელოვანი დღე, დედამიწის დღე დაწესდა. აშშ-ის ქუჩაში გამოსულმა დაახლოებით 20 მილიონმა მოქალაქემ ყველას გარემოს დაცვისკენ მოუწოდა. მას შემდეგ პროგრესული საზოგადოება საერთაშორისო მაშტაბით ამ დღეს აღნიშნავს.

დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობას აკისრებდა მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. ქვეყნის უზენაესი კანონი კონსტიტუცია კი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოსდაცვით სფეროს არეგულირებს. კერძოდ, კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით: 1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით და 2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

1996 წელს მიღებული კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ კი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროს აწესრიგებს. ქართული პოლიტიკა უკვე წლებია ცდილობს, რომ შესაძლებლობლის ფარგლებში ქვეყანა მიუახლოვდეს განვითარებულ ქვეყნებში არსებულ გარემოსდაცვით პირობებს, რეგულაციებს. ამის დაშვების საჭიროებაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-6/2 მუხლში ნათქვამია, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

საქართველოში, განვითარებაზე ორიენტირებული საერთაშორისო მიდგომები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, მაშინ როდესაც საერთაშორისო მასშტაბით პოლიტიკურ დღის წესრიგში დროთა განმავლობაში, თანდათან, გარემოს დაცვის საკითხების მნიშვნელობა იზრდება და ეკონომიკურ განვითარებას უკ-

ავშირდება, მეტიც, მიიჩნევა, რომ ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძ-ლოა მაშინ, როცა ქვეყნის განვითარებასა და ბუნებრივი რესურ-სების გამოყენებას შორის წონასწორობაა დაცული და საზოგადო-ების კეთილდღეობა კი მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს ისეთივე მნიშ-ვნელობა ენიჭება, როგორიც ეკონომიკურ ზრდას. საქართველო ცდილობს ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარე-მოსდაცვითი მიდგომების და რეგულაციების დანერგვას, არსე-ბული პირობების განვითარებულ საერთაშორისო საზოგადოებას-თან დაახლოვებას. სწორედ ამ მიზნით 2000 წლიდან ქვეყანაში მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით ამოქმედდა გარემოს დაცვის მოქ-მედებათა პირველი ეროვნული პროგრამა, საერთაშორისო და ერ-ოვნული კანონმდებლობასთან თანხვედრით, რომლითაც საქარ-თველოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომ-ლობა უფრო გამყარდა.

2004 წლიდან საქართველო 16 ქვეყანას შორის შეუერთდა ევ-როპულ სამეზობლო პოლიტიკის სივრცეს და 2006 წელს სამოქმე-დო გეგმა დამტკიცდა, მისი განხორციელება მაშინვე გააზრებული იყო მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად საქართველოსათვის ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით. საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლო-ბის სტრატეგიულ მიზნებში, მრავალმხრივი თანამშრომლობა ბუ-ნებრივი გარემოს დაცვის საკითხიც მოიაზრებოდა (პატარაია, 2010). შემდეგ კი უკვე 2014 წელს, როდესაც ასოცირების შეთანხმებას მო-ეწერა ხელი ევროპულ სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმამ ჩა-ანაცვლა, რომლის ერთ-ერთ საკითხს გარემოს დაცვის სფერო წარმ-ადგენს. ხელშეკრულება გარემოს დაცვის სფეროში, მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ადამიანისა და ეკოსისტემებისათვის შესაბამისი გარემო

პირობების უზრუნველყოფას, ასევე გარემოსდაცვითი მმართველობისა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას. სწორედ ასეთ საფუძვლზე დაიწყო განხორციელება გარემოს დაცვის მეორე ეროვნული პროგრამამ, რომელიც უფრო მეტი საერთაშორისო თანამშრომლიბით 2012-2016 წლებში განხორციელდა, მისი განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილების საფუძველზე და გათვალისწინებით, ევროპელი და ადგილობრივი ექსპერტების მიერ, შემუშავდა მესამე პროგრამა, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში ქვეყნის უმთავრესი სტრატეგიული დოკუმენტია. მასში კონკრეტული ხუთწლიანი 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმაა წარმოდგენილი, რომელიც სამ ძირითად პოლიტიკურ ტენდენციას ითვალისწინებს: 1.„საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“; 2. „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და ის საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმებები, რომელთა მხარესაც წარმოადგენს საქართველო და 3. გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტები. მნიშვნელოვანია, რომ გარემოს დაცვის მესამე ეროვნული პროგრამის სტრატეგიული მიზნებია: 1.გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების დაცვის/მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა და იმ რისკების თავიდან აცილება/მინიმუმამდე დაყვანა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და მოსახლეობის კეთილდღეობას. 2.საქართველოს მიერ რეგიონული და გლობალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესება და შემდგომი დაახლოება ევროკავშირის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან, ჩარჩო კანონმდებლობასა და კონკრეტული დირექტივების მოთხოვნებთან. 3.ადმინისტრაციული სტრუქტურების გაძლიერება ეფექტიანი გარემოსდაცვითი მართვისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების

უზრუნველსაყოფად. 4. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაციის საშუალებით (დავითაშვილი, თანდილაშვილი, 2018). აღნიშნული მიზნები ქვეყანაში არსებული ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის, ევროკავშირთან დაახლოების პროცესის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების, კონვენციების და კანონმდებლობის შესრულების ასპექტების გათვალისწინებითაა განსაზღვრული. ამასთან, აღნიშნული მიზნებით მიღწეული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი მოთხოვნების განხორციელება ხელისუფლების ყველა დონეზე. პროგრამული ღონისძიებებით მდგრადი განვითარების მიდგომა დამკვიდრდება და უზრუნველყოფს სხვადასხვა დარგების საქმიანობაში გარემოსდაცვითი მიმართულებების ინტეგრირებას (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ., 2017).

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კლიმატის მწვანე ფონდი-ის (GCF, შეიქმნა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით (UNFCCC) 2010 წელს და ეხმარება განვითარებად ქვეყნებს) დაფინანსებით (Abaut GCF, 2010) მიმდინარე ეტაპზე (2019-2026) ახორციელებს პროექტს: „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, რომლის მიზანი საქართველოს მთავრობის დახმარებაა, რათა ეროვნულ დონეზე განხორციელდეს მთელი რიგი ქმედებები, მოსახლეობის კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების ასაცილებლად.

საქართველო გარკვეულწილად ცდილობს ეროვნულ დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულებას, 2017 წლიდან ქვეყანაში ძალაში შევიდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმება“ **(Paris Agreement: essential elements, 2015)**, რის მიხედვიდაც საქართველომ 5 წელიწადში (სულ ცოტა) ერთხელ

უნდა განაახლოს კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დასახული მიზნების მიღწევისათვის (Paris Agreement, **2015**). ამიტომ, საქართველომ ეროვნულ დონეზე შეიმუშავა კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია. ამასთან, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ექსპერტების და სამოქალაქო სპექტრის წარმომადგენლების მიერ შემუშავებულია 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს (შვიდი სექტორის ანალიზსა და შესაბამის ღონისძიებებს) ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების მიღწევის და განხორციელების მექანიზმს, ასევე გამომდინარეობს სხვა ამოცანებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან და თანხვედრაშია საქართველოს და ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან (საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, 2020).

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წ.წ. დღის წესრიგის მიხედვით საჭიროდ მიიჩნევა გარემოს შესახებ საზოგადობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება, რაც რეალურად შესაძლოა არასაკმარისად, მაგრამ ხორციელდება არაერთი პროექტის სახით, მათ შორისა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ერთობლივი პროექტები.

საქართველოს გაეროს კლიმატის ცვლილებების შესახებ ჩარჩოკონვენციის ფარგლებში საკუთარი ვალდებულებები და შესრულების მექანიზმები აქვს (1994 წლიდან ამ კონვენციის რატიფიცირება მოხდა), ამასთან კონვენციის ფარგლებში მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ საკითხში (გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, 2017).

საერთოდ, საქართველოში გარემოსდაცვითი ხასიათის საგანმანათლებლო ღონისძიებები ეროვნული გარემოსდაცვითი კანონის მიღების შედეგ აქტუალური ხდება, რადგან თვითონ კანონით განისაზღვრა სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანიანი თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996), კერძოდ, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე - სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული, უმაღლესი და სამეცნიერო/კვლევით დონეზე.

კანონის მიღების შედეგ უკვე არაერთი სამთავრობო თუ საერთაშორისო გადაწყვეტილებით გარემოსდაცვითი განათლება აქტიურად მკვიდრდება ქართულ სინამდვილეში. ფაქტია, რომ თანამედროვე ეტაპზე გარემოსდაცვითი მოძრაობები საერთაშორისო დონეზე გააქტიურდა, ყველგან, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც განსაკუთრებით შეიმჩნება ახალგაზრდების ინიციატივები, რაც სამომავლოდ გარემოსდაცვითი საკითხების უკეთესი დღის წესრიგის იმედია. მითუმეტეს სამართლებრივად ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობლობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.

საქართველომ არაერთხელ აჩვენა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში.

პატარა, განვითარებადი ქვეყნისთვის ნებისმიერი მიმართულებით წარმატების მიღწევა გარკვეულწილად საერთაშორისო დონის დახმარებებზეა დამოკიდებული, ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ვითარებაც. კერძოდ 2013 წლიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ (ივრის ზეგანის ტერიტორიაზე ეკოსისტემის გაჯანსაღების მიზნით) ერთობლივი პროექტის - სა-

ქართველოში ქურციკის (ჯეირანის) უკვე გადაშენებული, წარსულში გავრცელებიული სახეობის, პოპულაციის აღდგენას გულისხმობდა. საქართველოს მთავრობის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF), გერმანიის მთავრობის (KfW) ფინანსური მხარდაჭერითა და აზერბაიჯანის მთავრობის აქტიური ჩართულობით განხორციელებული პროექტის მიღწეული შედეგი აშკარაა (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2020)(იხ. ცხრილი #1.)

ცხრილი#1. საქართველოში ქურციკების რაოდენობის ზრდის დინამიკა

წელი	2002	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
რაოდენობა	0	7	14	25	36	40	48	115

საქართველოს თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში მთელი რიგი ვალდებულები აქვს გარემოსდაცვით საკითხებში და აქტიურად ჩართულია აღებული ვალდებულებების შესრულებაში. ეს ყველაფერი ქვეყანაში გარემოსდაცვით სტანდარტების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული და მათი განხორციელება ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით დადებით ეფექტს იქონიებს გრძელვადიან პერსპექტივაში (ემერსონი, კოვზირიზე, 2016).

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დოკუმენტები გარემოს დაცვის შესახებ

ჩვენი საკვლევი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია საინტერესოა თუ რამდენად ითვალისწინებენ ხელისუფლებაში მოსვლამდე ქვეყნის პოლიტიკოსები გარემოსდაცვის საკითხის მნიშვნელობას და ასახულია თუ არა ეს მათ წინასაარჩევნო დოკუმენტებში. შესასწავლად შევარჩიეთ საარჩევნო ბარიერგადალახული სუბიექტები ასეთი არის (2020 წ. საპარლამენტო არჩევ-

ნებში მონაწილეობდა - 50 სუბიექტი, აქედან 2 ბლოკი - 7 სუბიექტით) სულ 9 (იხ. ცხრილი#2.)

ცხრილი #2. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები პროცენტებში

საარჩევნო ნომერი	საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა პროცენტებში
2	„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“	3.79%
5	ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	27.18%
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	3.14%
10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	1.00%
24	„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“	1.33%
27	ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“	3.15%
36	„გირჩი“	2.89%
41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	48.22%
56	ლელო-მამუკა ხაზარაძე	3.15%

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი გარემოდაცვითი პროფილის პარტიაც - „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“ (#9) იღებდა

მონაწილეობას არჩევნებში (მიღებულ ხმათა რაოდენობა 0.07%, ვერ მოხვდა პარლამენტში).

ქვეყანაში მიმდინარე მთელ რიგ აქტუალურ საკითხებთან ერთად ყველა ბარიერგადალახული პარტია მხარს უჭერს და თავის პოზიციას აფიქსირებს გარემოს დცვის საკითხების მიმართ, რადგან სწორად აქვთ გაცნობიერებული საკითხის აქტუალობა, მათ მიერ ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში partiebi.ge გამოქვეყნებული მასალები, არის საზოგადოების ინფორმირებისათვის, შედარებისათვის და მკვლევართა დაკვირვებისათვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა.

ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსული „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო ქვეყანაში ჯანსაღი საარსებო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით, მასშტაბური რეფორმების გატარებას აპირებს გარემოს დაცვის მიმართულებით. ეს შეეხება დაცულ ტერიტორიებს, ტყის ნარჩენების ეფექტურ გამოყენებას, ეკოტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვას რათა გარემოს დაბინძურება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, ქალაქებში სწორ ურბანულ განვითარებას, გამწვანებასა და ჰაერის ხარისხის შენარჩუნებას, მათ შორის სწორი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარების გზით. ამასთან, მათი დაპირებით ქართული კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში, თვისობრივად დაუახლოვდება ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. მმართველი გუნდის ცხრა პუნქტიანი გარემოს დაცვის განსახორციელებელი გეგმა თითქმის ყველა დეტალს მოიცავს და პროგრესულია.

ხმების მიღების მიხედვით მეორე ადგილზე გასული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოკლედ აყალიბებს თავის შეხდებულებებს საკითხთან მიმართებაში, კერძოდ, ეს არის: ატმოსფერული ჰა-

ერის დაბინძურების შემცირება, განსაკუთრებით - ურბანულ ცენტრებში; ნარჩენების გადამუშავების წახალისება; განახლებადი ენერგიის წილის გაზრდა საერთო მოხმარებაში; ჰესების მშენებლობა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში და მხოლოდ საერთაშორისო კვალიფიციური დასკვნის საფუძველზე; რეკრეაციული ზონების გაფართოება ურბანულ ცენტრებში; მშენებლობის რეგულირება გამჭვირვალე კრიტერიუმებით, გარემოს დაცვის პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევა; მწვანე ეკონომიკის წახალისება.

ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ არსებულის კრიტიკით იწყებს, რომ ბოლო წლებში გარემოს დაბინძურების არაერთი შემთხვევის მომსწრე გავხდით. ეხება ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში აზბესტის შემცველი პროდუქციის გამოყენებას, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. საჭიროდ მიაჩნიათ შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც გარემოს აბინძურებენ. იგივე მიდგომით განიხილავენ სამშენებლო სტანდარტებს, როდესაც სამშენებლო მტვერი აბინძურებს გარემოს და ზრდის კანცეროგენური დაავადებების განვითარების საფრთხეს. ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, გეგმავენ ენერგეტიკის მიმართულებით გამჭვირვალე სისტემის შექმნას და განახლებადი ენერგიების (მზე, ქარი, წყალი, გეოთერმული) გამომუშავებაზე გადასვლას, რაც მთლიანად მომხმარებელსა და მწვანე ენერგიის უსაფრთხო ათვისებაზე იქნება ორიენტირებული. მათთვის კიდევ ერთი პრიორიტეტი მწვანე საფარის განვითარებაა. ქალაქებში მწვანე საფარის განვითარების სტრატეგია, მათ შორის ვერტიკალური და სახურავების გამწვანების ჩათვლით.

„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიიჩნევს, რომ ეკოლოგიურ გამოწვევებზე პასუხის გაცემა ცხოვრების ხარისხსა და მომავალ თაობათა ჯანმრთელობაზე ზრუნვის

შემადგენელი ნაწილია, რაც თავის მხრივ მოიცავს: საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებას; ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას; საერთაშორისო, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას; საქართველოს დაცული ტერიტორიების გაფართოებას; დიდ ქალაქებში სრულფასოვანი საკანალიზაციო სისტემის შექმნაზე მუშაობის გაგრძელებას, ამ პროცესში საერთაშორისო დონორების და უცხოური პარტნიორების დახმარების მოზიდვას; საქართველოს ბუნების შესახებ თანამედროვე ინფორმაციული ბაზის შექმნას.

„ლელო საქართველოსთვის“ გარემოს დაცვის საკითხებზე მსჯელობას არსებული მოცემულობის კრიტიკით იწყებს, რომ ამ სფეროში გვაქვს მოსავლელიც, გადასარჩენიც და აღსადგენიც. ეკოლოგიური და ფიზიკური სისტემების სტაბილურობისთვის საჭიროდ მიიჩნევს: მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებას ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციით ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან; დიდი ჰესების მშენებლობა უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების ევროპულ სტანდარტს, რომელიც ძალაში შესვლამდე გამოქვეყნდება საყოველთაო, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების განსახილველად; საკანონმდებლო საქმიანობაში, რეგულაციური ზემოქმედების ანალიზის ფარგლებში, სავალდებულო გახდება ყოველი ახალი კანონპროექტის გარემოზე ზემოქმედების ანალიზი; ხელი შეეწყობა: განახლებადი ენერგიების ფართოდ გამოყენებას; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას; წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესებას; ქალაქებში მწვანე ნარგავების კვოტების დადგენას; მწვანე საფრის აღდგენასა და ახლის გაშენებას; დაცული ტერიტორიების

სისტემის გაძლიერებას; კერძო სექტორისთვის სამოტივაციო სისტემების შექმნას და სხვა. სიჯანსაღესთან ერთად აღნიშნავენ საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე; სტიქიური მოვლენების პროგნოზირების, თავიდან აცილების, მათთან გამკლავების, მოსახლეობის ინფორმირებისა და განათლების ეფექტური სისტემის შექმნაზე, რომელიც დღეს უწყებრივ ლაბირინთებშია ჩაკარგული. ამასთან, დღის წესრიგში აყენებენ ცხოველთა დაცვის პოლიტიკას, რომ პოლიტიკის არქონის გამო საქართველოში სულ უფრო იზრდება მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობა, მძიმდება მათი მდგომარეობა, იზრდება საფრთხე მოსახლეობისთვის და მახინჯდება საზოგადოების აღქმას ცხოველთა მიმართ, შესაბამისად ამ საკითხის მოგვარებაზე ისინი ვრცლად მსჯელობენ და მოწესრიგების გზებს სახავენ.

ახალი პოლიტიკური ცენტრი - „გირჩი“ მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვის საკითხში მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს კერძო სექტორს. ასევე, საჭიროა არაფრის მომცემი, უაზრო რეგულირებების და აკრძალვების გაუქმება, რომლებიც ვითომ გარემოს იცავს, რეალურად კი მათ საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვება. მაგალითად, ქვეყნის მთელი ტყე-პარკი ვითომ სახელმწიფო საკუთრებაშია და რეალურად კი უპატრონოა, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობის პირთა ნებართვით თუ ლოცვა-კურთხევით ჩეხავს და ანადგურებს ის, ვინც მოცემულ მომენტში არის ხელისუფლებაში.

„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ: განახლებადი ენერგორესურსების მხარდაჭერას, განახლებადი (მზის და ქარის) ენერგიის რესურსის მაქსიმალურად ათვისებას და გამოყენებას, ამის წასახალისებლად კი - გადასახადების შემცირებას და წარმოების ხელშეწყობას მიიჩნევენ; ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარ-

მოების ხელშეწყობას; მნიშვნელოვანად მიაჩნიათ აგრარულ სფეროში დასაქმებულთა გადამზადება და ახალი კადრების მომზადება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით; ასევე აღნიშნული წარმოების ხელშეწყობა: საგადასახადო შეღავათების დაწესებით; ეროზიის და ურბანულ სივრცეებში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლის შემცირებით; მწვანე საფარის გამრავალფეროვნებით, ურბანულ სივრცეებში მეტი სიმწვანის უზრუნველყოფით, ხეების და ბუჩქნარის დარგვით. ასევე, ეროზიული პროცესების შესასუსტებლად განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი ხე-მცენარეების გაშენებით.

„ლეიბორისტული პარტია“ საჭიროდ მიიჩნევს, რომ თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში უნდა განისაზღვროს ტერიტორიები, სადაც ოთხ სართულზე მაღალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე გამოცხადდება დროებითი მორატორიუმი; ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად გაკონტროლდება საწვავის ხარისხი და დაწესდება ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერების სათანადო ნორმები. ამ უკანასკნელისთვის ამუშავდება მოსახლეობის მხარდამჭერი საბიუჯეტო თანადაფინანსების პროგრამა; დაინერგება სამშენებლო სამუშაოებისას მტვრის წარმოქმნის შემზღუდავი თანამედროვე ნორმები და მკაცრად გაკონტროლდება მათი შესრულება; ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დამაბინძურებელი საწარმოებისთვის შემუშავდება დროში მკაცრად გაწერილი (არაუმეტეს ერთი საპარლამენტო ვადისა) პროგრამა, მათ საქმიანობაში ევროპულ სტანდარტების დასანერგად; დადგინდება ურბანული გამწვანებული ტერიტორიების საზღვრები, ინვენტარიზაციას დაექვემდებარება ხე-ნარგავები და სრულად აიკრძალება ჯანმრთელი ხეების ჭრა; მშენებელ კომპანიებს, ნებართვის მიღებისას, ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეკისრებათ მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება; ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება გამწვანებული ტერიტორი-

ის ფართობის სულ მცირე 50%-ით გაზრდისთვის აუცილებელი სამუშაოები; ამუშავდება ნარჩენების განცალკევებული შეგროვება-გატანისა და გადამუშავების მხარდამჭერი ეროვნული პროგრამა; საქართველოში პირველად შეიქმნება ადგილობრივი წარმომავლობის სახიფათო ნარჩენების სპეციალური პოლიგონი; საკანონმდებლო დონეზე აიკრძალება დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა; აუცილებლობის შემთხვევაში, მცირე ჰიდროელექტროსადგურები აშენდება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის თანხმობით, შესაბამისი პლებისციტის ორგანიზების, მისი შედეგების სავალდებულოდ გათვალისწინების პირობითა და ევროპული სტანდარტების დაცვით; შემუშავდება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და ალტერნატიული (მზის, ქარის და სხვ.) ენერგეტიკის განვითარების ხელშემწყობი ფართომასშტაბიანი პროგრამები; მათ შორის, მოხდება ინდივიდუალური სისტემებისა და მასალების შეძენა-მონტაჟის მხარდაჭერა საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით, მოქალაქისთვის გრძელვადიანი უპროცენტო სესხების გაცემის გზით.

პოლიტიკურმა გაერთიანებამ - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ პორტალზე თავისი სამომავლო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ დააფიქსირა, მათ საპროგრამო დოკუმენტებში, მიუხედავად ვრცელი ნუსხისა, კონკრეტულად გარემოს დაცვაზე თითქმის არაფერია ნათქვამი.

ამასთან, ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის ფართომასშტაბიან განვითრებაზე ორიენტირებული გარემოსდაცვითი, სხვადასხვა მიმართულებით, პროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია.

დასკვნა

საქართველო ისწრაფვის განვითარებულ საერთაშორისო საზოგადოებასთან დაახლოვებას, შესაბამისად ცდილობს, ქვეყანაში დანერგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომები და რეგულაციები.

საერთაშორსო საზოგადოებას სწორად აქვს გაცნობიერებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების საჭიროება, რადგან გარემოს დეგრადაცია ადამიანის საქამიანობას უკავშირდება, შესაბამისად, უსაფრთხო გარემოსთვის ზრუნვა საერთო, საყოვეთაო პასუხისმგებლობაა.

ნაშრომში განხილული მასალებიდან ჩანს, რომ ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკით აღებული ვალდებულებები როგორც ნაციონალურ კანონებთან ისე გარკვეულ საერთაშორისო კონვენციებთან და ხელშეკურულებებთან მიმართებით უზრუნველყოფს არა მარტო ადამიანის და ეკოსისტემებისათვის საჭირო გარემო პირობების შექმნას, არამედ გარემოსდაცვითი მმართველობის, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას. არაერთი ფაქტით დასტურდება, რომ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა დადებითად აისახება ქვეყანაში გარემოს დაცვის საკითხებზე.

გარემოსდაცვითი საკითხებით ქვეყნის ხელისუფლების დაინტერესების მიუხედავად, თანამედროვე ეტაპზე მთელი რიგი ვალდებულებების ბოლომდე შესრულება ვერ ხერხდება. საჭიროა საზოგადოებისთვის ნებისმიერი ინფორმაცია გარემოსდაცვით საკითხებზე (მითუმეტეს ამის ვალდებულება მთელი რიგი კონვენციებით აქვს სახელმწიფოს) ხელმისაწვდომი იყოს. ამასთან, გაიზარდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მაჩვენენებელი.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს სწორად აქვთ

გაცნობიერებული საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი, რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის საქართველო, თუ როგორ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისინი გარემოსდაცვითი ეროვნული პოლიტიკის ფორმულირების პროცესში. შესაბამისად, მიუხედავად ზოგიერთი საკითხის სხვადასხვანაირად შეფასებისა, მათი საერთო სურვილია - მოწესრიგდეს არსებული სინამდვილე, საკანონმდებლო ბაზა შესაბამისობაში იყო ევროპის სტანდარტებთან და შესრულდეს ყველა სიზუსტის დაცვით; ასევე მნიშვნელოვანია - საკითხზე მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და განათლების საკითხის დღის წესრიგის გააქტიურება, მათ მეტი ჩართულობის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abaut GCF, (2010), GCF is the largest global fund dedicated to help fight climate chanje, https://www.greenclimate.fund/about, ნანახია 02. 07. 2020
2. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, (2017), გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები, თბილისი.
3. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, http://eiec.gov.ge, ნანახია 08. 07. 2020
4. დავითაშვილი, ლ., თანდილაშვილი, ნ., (2018), „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021“, თბილისი, გაეროს განვითარების პროგრამა.
5. **დაცული ტერიტორიების სააგენტო, პოლულაციის პროექტის ფარგლებში, საქართველოსში ქურციკების რაოდენობა უკვე 150-მდე გაიზარდა, 2020, http://apa.gov.ge/ge/media/News/populaciis-agdgenis-proeqtis-farglebshi-saqartveloshi-qurcikebis-raodenoba-ukve-150-mde-gaizarda.page ნანახია 12.12.2020**
6. ემერსონი, მ., კოვზირიზე, თ., (2016), საქართველო და ევროკავშირი, ევროპული კვლევის ცენტრი - ბრიუსელი, რეფორმატიქსი - თბილისი.
7. **OUR VISION FOR CHAHGE, https://www.earthday.org/about-us/, ნანახია 10.10. 2020**

8. **Paris Agreement: essential elements, (2015),** https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement, ნანახია 07. 09. 2020

9. Paris Agreement, Article 4, paragraph 2, **(2015),** https://unfccc.int/files/meetings/paris_nov_2015/application/pdf/paris_agreement_english_.pdf, ნანახია 07. 09. 2020

10. პატარაია თ., (2010), ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა: სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინები და ახალი შესაძლებლობები, თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

11. Resolutions adopted by the General Assembly at its 42nd session, (1987), 42/187. Report of the World Commission on Environment and Development, https://research.un.org/en/docs/ga/quick/regular/42, ნანახია 10.11.2020

12. Rio Declaration on Environment and Development, The United Nations Conference on Environment and Development, Having met at Rio de Janeiro from 3 to 14 June 1992, https://www.cbd.int/doc/ref/rio-declaration.shtml, ნანახია 10.09.2020

13. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, (2015), საქართველოს მეხუთე ეროვნული ანგარიში ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი, file:///D:/2020/2020%20Tema%20instituti/2020%20Tema/Fifth-National-Report-to-CBD-Georgia-ge-01-05-15.pdf, ნანახია 10.09.2020

14. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ., 2017), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/1357, ნანახია 07.07.2020

15. საქართველოს კონსტიტუცია, 24.08. 1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=0, ნანახია 07008.2020

16. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, (1996), კარი II ძირითადი ნაწილი, თავი III განათლება და სამეცნიერო კვლევა გარემოსდაცვის სფეროში, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29#!, ნანახია 05.09. 2020

17. სენარკლენი, პ., არიფენი, ი, (2014), *საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები,თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,* გვ.172

18. სიხარულიძე, ა., აბულაშვილი, გ., კუნჭულია, ი., ... (2020), საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა. თბილისი.

19. Summary of the National Environmental Policy Act, (1969). **https://www.epa.gov/laws-regulations/summary-national-environmental-policy-act** ნანახია 02.10.2020

20. United Nations Conference on the Environment, 5-16 June 1972, Stockholm, The first world conference on the environment. https://www.un.org/en/conferences/environment/stockholm1972, ნანახია 05. 10. 2020

21. Handl, G., (2012), DECLARATION OF THE UNITED NATIONS CONFERENCE ON THE HUMAN ENVIRONMENT (STOCKHOLM DECLARATION), 1972 AND THE RIO DECLARATION ON ENVIRONMENT AND DEVELOPMENT, 1992 https://legal.un.org/avl/pdf/ha/dunche/dunche_e.pdf. ნანახია 03. 11. 2020

Manana Darchashvili

Environmental Issues in the Modern Georgian Politics (According to the 2020 Pre-election Program Documents)

Abstract

The agenda of modern progressive humanity, either at the state or public sphere (in different directions), includes several systems and measures aimed at harmonization with nature, ecology, protection, and restoration of natural resources. In order to ensure the maintenance of the natural balance in the country the representatives of the Georgian political spectrum, in their program documents pay great attention to the issue of the natural environment and the attitude of the society. Thus, the purpose of the issue is very relevant and topical.

The study presents several empirical materials, various researched documents, and materials of official websites, communications of relevant international organizations, governmental documents, and analysis of pre-election documents of parties.

The paper reflects the existing reality in Georgia, the state's effective steps to accurately resolve the issue, as well as the attitude of the political parties towards the environmental issues.

A number of certain data confirm that having signed the international agreements on environmental protection, modern Georgian policy is motivated and does its best to implement the signed documents at the global and regional levels since they play a vital role in the formulation of national environmental policy.